ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/13115104-16/2 22. 05. 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ. №13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.2/66)/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი 02/166, (საკ.კოდი №01.17.10.002.176) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგური და გაზგასამართი სადგური (კომპლექსი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/13115104-16 13.05.2013წ. ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

2013 წლის 13 მაისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ბ-12/13115104-16 ბრძანებით შპს ,,გეოგაზი"-ს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ. №13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.2/66)/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი 02/166, (საკ.კოდი №01.17.10.002.176) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგური და გაზგასამართი სადგური (კომპლექსი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვა უარი. სამსახურის სპეციალისტების მიერ აღნიშნული ობიექტის შემოწმებისას დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ პროექტში ნაჩვენები წყლის რეზერვუარი ვერ იქნა დაფიქსირებული საპროექტო ტერიტორიაზე. შესაბამისად ბრძანების სამოტივაციო ნაწილში დარღვევის სახით აისახა აღნიშნული დარღვევა ,,არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები წყლის რეზერვუარი". სამსახურის სპეციალისტების მიერ ხელმეორედ იქნა გადამოწმებული ობიექტი რომლის შედეგადაც საპროექტო ტერიტორიაზე ნანახ იქნა წყლის რეზერვუარი. (საქმეშია მოხსენებითი ბარათი 21.02.2013)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები", ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ,,შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/13115104-16 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა კერძოდ ბრძანების სამოტივაციო ნაწილში შეცდომით იქნა მითითებული დარღვევა ,,არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები წყლის რეზერვუარი" ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ტექნიკური ხარვეზის გასწორება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/13115104-16 13.05.2013წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო

ნაწილიდან ამოღებულ იქნას წინადადება ,,არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები წყლის რეზერვუარი.”

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/13115104-16 13.05.2013წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი